ხელშეკრულება № 8

ქ. ბათუმი 13. 12. 2010წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი", წარმოდგენილი მისი საბარათე და ტალონური სისტემით ბათუმის მომსახურების ცენტრთან ურთიერთობის მენეჯერის, იულია ფაილოძის სახით (შემდგომში "გამყიდველი") და მეორეს მხრივ, სსიპ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის, რუსუდან ფაღავას სახით (შემდგომში "მყიდველი") დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად "გამყიდველი" ყიდის, ხოლო "მყიდველი" ყიდულობს საწვავს, "გამყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული "საწვავის ტალონების" მეშვეობით.

საწვავი შეძენილი იქნება 504.9 ლარის ოდენობით

საწვავის ფაქტიური მიწოდება იწარმოებს "სოკარის" სავაჭრო ნიშნით მოქმედ (შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" მფლობელობაში არსებული) ავტოგასამართ სადგურებზე "საწვავის ტალონების" წარდგენისთანავე.

2. მიწოდების პირობები

"საწვავის ტალონების" გაცემა იწარმოებს "მყიდველის" მიერ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელშიც დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული შესასყიდი საწვავის რაოდენობა, მარკა, ხარისხი და ასევე საწვავის ტალონების სასურველი ლიტრაჟები.

საწვავის ტალონების შეძენის შესახებ განაცხადი "მყიდველმა" უნდა წარმოადგინოს წერილობითი ფორმით.

"გამყიდველის" მიერ გაცემულ "საწვავის ტალონებზე" აღნიშნული უნდა იყოს "საწვავის ტალონის" ნომერი, "მყიდველის" ვინაობა (დასახელება), "საწვავის ტალონის" მოქმედების ვადა, საწვავის ნომინალური რაოდენობა, საწვავის დასახელება.

"მყიდველის" მიერ– წარმოდგენილი წერილობითი განაცხადის "გამყიდველის" მხრიდან მიღებისა და დადასტურების შემდეგ "გამყიდველი" დაამზადებს და მიაწვდის "მყიდველს" საწვავის ტალონებს "მყიდველის" მხრიდან განაცხადისა და თანხის სრულად მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას 35-ში.

"გამყიდველის" მიერ "მყიდველისათვის" "საწვავის ტალონების" დამზადება და მიწოდება განხორციელდება "მყიდველის" მიერ ფაქტობრივად გადახდილი თანხის შესაბამისად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 "გამყიდველის" უფლება-მოვალეობანი:

3.1.1 "გამყიდველი" ვალდებულია, მიაწოდოს "საწვავის ტალონები" "მყიდველს" წინამდებარე ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით;

3.1.2 "გამყიდველი" ვალდებულია, "მყიდველისაგან" განაცხადისა და თანხის სრულად მიღებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში დაამზადოს და მიაწოდოს "მყიდველს" "საწვავის ტალონები".

3.1.3 "გამყიდველი" იტოვებს უფლებას, გააუქმოს "მყიდველის" მიერ წარმოდგენილი განაცხადი და "საწვავის ტალონები", თუ "მყიდველი"

დამზადებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში არ მიიღებს შესაბამის "საწვავის ტალონებს".

3.1.4 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში "მყიდველს" უკან უბრუნდება გადახდილი თანხა

3.1.5 "საწვავის ტალონების" დამზადებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით (1 ცალი "საწვავის ტალონის" ღირებულება შეადგენს 0.10 თეთრს).

3.1.6 "გამყიდველი" ვალდებულია "საწვავის ტალონის" წარდგენისთანავე მიაწოდოს "მყიდველს" "საწვავის ტალონებში" მითითებული რაოდენობისა და ხარისხის საწვავი "სოკარის" სავაჭრო ნიშნით მოქმედ ავტოგასამართ სადგურებზე.

3.1.7 "გამყიდველი" ვალდებულია გადასცეს "მყიდველს" სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

3.1.8 "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველის" მხრიდან წერილობითი განაცხადის მიღებიდან 1 (ერთი) დღის ვადაში აცნობოს (დასაშვებია ზეპირი შეტყობინება) "საწვავის ტალონების" დამზადების შეუძლებლობის შესახებ.

3.1.9 "გამყიდველი" უფლებამოსილია პატივსადები მიზეზების არსებობისას (კერძოდ საწვავის არქონისას, საწვავის მიღების დროს) უარი განაცხადოს საწვავის გაცემაზე.

3.1.10 "გამყიდველი" უფლებამოსილია უარი განაცხადოს საწვავის ტალონური სისტემით გაყიდვაზე და შესაბამისად "საწვავის ტალონების" გაცემაზე, თუ "მყიდველის" განაცხადში მოთხოვნილი საწვავის რაოდენობა 100 (ასი) ლიტრზე ნაკლები აღმოჩნდება.

3.2 **"მყიდველის" უფლება-მოვალეობანი:**

3.2.1 "მყიდველი" ვალდებულია მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადის "გამყიდვლის" მხრიდან მიღებისა და დადასტურებიდან 1 (ერთი) დღის ვადაში გადაიხადოს მასში განსაზღვრული ტალონური სისტემით შესასყიდი საწვავის ღირებულება.

3.2.2 "მყიდველი" ვალდებულია გადახადა აწარმოოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.2.3 "მყიდველი" ვალდებულია "საწვავის ტალონების" დამზადებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში მიიღოს "გამყიდველის" მიერ დამზადებული "საწვავის ტალონები", წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი და "საწვავის ტალონები" ჩაითვლება გაუქმებულად და გადარიცხული თანხიდან გამოიქვითება "საწვავის ტალონების" დამზადებაზე გაწეული ხარჯები, ხოლო დარჩენილი თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

3.2.4 "საწვავის ტალონების" გამოყენებისას "გამყიდვლის" მფლობელობაში არსებული ავტოგასამართ სადგურებზე დაიცვას არსებული უსაფრთხოების წესები.

3.2.5 "მყიდველი" უფლებამოსილია "გამყიდველის" ნებართვის გარეშე "გამყიდველისაგან" მიღებული "საწვავის ტალონები" გადასცეს მესამე პირებს.

3.2.6 "მყიდველი" უფლებამოსილია მოითხოვოს ყოველი კონკრეტული ტალონის უკანა მხარეზე იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის მითითება, რომელშიც უნდა განხორციელდეს ამ ტალონით გათვალისწინებული საწვავის ჩასხმა. იმ შემთხვევაში, თუ "მყიდველი" წინამდებარე ქვეპუნქტის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებით ისარგებლებს, იგი ვალდებულია ყოველ კონკრეტულ ტალონის უკანა მხარეზე მის მიერ მითითებული

ავტოსატრანსპორტო საშუალების ნომერი დაამოწმოს საკუთარი კომპანიის ბეჭდით.

4. "საწვავის ტალონების" ფასი და ანგარიშსწორების პირობები

"საწვავის ტალონების" ფასი:

"საწვავის ტალონების" ფასი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და დაფიქსირდება "მყიდველის" მიერ წარმოდგენილ წერილობით განაცხადში.

ანგარიშსწორების პირობები:

"საწვავის ტალონებით" განსაზღვრული საწვავის საფასურის გადახდა "მყიდველის" მიერ განხორციელდება წინასწარ, უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების წესით. "მყიდველი" ჩარიცხავს საწვავის საფასურს "გამყიდველის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ასეთი მითითების არარსებობის შემთვევაში კი – წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე. ნაღდი ანგარიშსწორებისას საწვავის ღირებულების გადახდა ხდება "გამყიდვლის" მიერ "მყიდველის" სალაროში ნაღდი ფულის შეტანით.

"მყიდველისათვის" "საწვავის ტალონების" მიწოდებისას, რომელიც განხორციელდება თანხის სრულად გადახდის შემდეგ, "გამყიდველის" მიერ გაიცემა სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავათა განხილვა

მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოქმნილი ურთიერთობები და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა რეგულირდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს საარბიტრაჟო პალატას (რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2005 წლის 22 ნოემბერს, რეგისტრაციის № 1481/006, იურიდიული მისამართი – ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. № 27), რომელიც საქმეს განიხილავს და გადაწყვეტს თავისი დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

6. საკუთრების უფლება

6.1 "საწვავის ტალონებზე" საკუთრების უფლება და მასთან დაკავშირებული ყველა რისკი "გამყიდველიდან" "მყიდველზე" გადადის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და "მყიდველისათვის" "საწვავის ტალონების" გადაცემის მომენტიდან (ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და "საწვავის ტალონების" გადაცემა ხდება ერთდროულად).

7. ფორს-მაჟორი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული პირობების (ომი, სამოქალაქო გადატრიალება, სტიქიური უბედურებები და სხვა გარემოება რომელიც დამოუკიდებელია მხარეთა ნებისაგან და არ ექვემდებარება მათ კონტროლს) დადგომის შედეგად.

7.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდა ფორს-მაჟორული პირობების მოქმედების სფეროში, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა უნდა დადასტურდეს იმ სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო პალატის ან სათანადო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მას ჰქონდა ადგილი.

7.4. ფორს-მაჟორული პირობების დამთავრებისთანავე, მხარე, რომელიც აღმოჩნდა ამ პირობების მოქმედების სფეროში, ვალდებულია არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

7.5. ამ ხელშეკრულების 7.2, 7.3 და 7.4 პუნქტების მოთხოვნათა დაუცველობა მხარეს ართმევს უფლებას თავი იმართლოს ფორს-მაჟორული პირობების დადგომის შემთხვევაში.

8. განსაკუთრებული პირობები

"მყიდველი" ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულების კონფიდენციალურობა და არ გადაანდოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს (პირებს).

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემდგომ.

წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილობა ზემოქმედებას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების ქმედითობაზე.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

9. მხარეთა რეკვიზიტები

"გამყიდველი"	"მყიდველი"
შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	სსიპ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა
ს\კ 202352514	ს/კ 248386731
მისამართი: ქ. თბილისი,	მისამართი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
მ. ბურძგლას ქ. № 56;	ორთაბათუმის თემი ს. ზემო წინსვლა
სს "საქართველოს ბანკი"	ვი-თი-ბი ბანკი (ბათუმის ფილიალი)
ანგ. № 233446600	ანგ. № GE32VT5500000001573408
ბანკის კოდი: 220101502	ბანკის კოდი: UGEBGE22655
ტელ: 43 97 57	ტელ: 877304254
საბარათე და ტალონური სისტემით მომსახურების ბათუმის ცენტრთან ურთიერთობის სპეციალისტი	დირექტორი: რუსუდან ფაღავა
იულია ფაილოდი	